შაბათი, 2 ივნისი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 118

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება [illegible] დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა [illegible] მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, рэдакція «ИСАРИ»

ისარგებლეთ შემთხვევით

საფაჭრო სახლმა

„ძმანი აკოფჯანოვები და სარქისიანცი"

რომელსაც აქვს დამზადებულ ტანისამოსის (ქალებისა და ვაჟებისა) მაღაზიები ტფილისში:

1. გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში „ექსელანსის" ფირმით.

2. ნიკოლოოზის ხიდზე, ქამოევის სახლში.

აგრეთვე განყოფილებანი ბაქოსა ეკატერინოდარში, გადასწყვიტა შეამციროს მაღაზიები, ამიტომ უკანასკნელ სეზონის მთელ საქონელს, 300,000 მანეთისას, ჰყიდის ნახევარ ფასად.

მთელი საქონელი დამზადებულია საკუთარ ფაბრიკაში ქ. ოდესსაში, განსაკუთრებულ შეკვეთით, რუსულ და საზღვარ-გარეთელ მატერ-იისაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

ფასები აღნიშნულია იარლიკზე ლურჯის კარანდაშით და ვაჭრობა არ შეიძლება. მყიდველს ნება ეძლევა იმავე დღეს დააბრუნოს ნაყიდი საქონელი და მიიღოს ფული, თუ სხვა ფირმაში უფრო იაფი აღმოჩნდება საქონელი.

მაღაზიები ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

(10—83—10)

ბესარიონ და დაფინე ბაქრაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამს ივნისს სოფ. წესში (რაჭის მაზრა) უდროოდ დაკარგულ არტისტის

დათიკო ბაქრაძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი.

შაბათს, 2 ივნისს, ველოსიპედთა საზოგადოების ველოდრომაზე (მიხეილის ქუჩა, № 116, „ვეტცელის" სასტუმროს პირდაპირ)

ქართველ ქალთა საზოგადოების პროფესიონალურ

ს კ ო ლ ი ს

ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა

სეირნობა და ველოსიპედებით გაჯიბრება.

იქნება აგრეთვე ლატარია-ალეგრი, კალათებით სირბილი, ბოძზე აცოცება, ლოტო, კეგელმანი, საქანაო და სხვა გასართობი.

საღამოს 8 საათიდან ლეკური და ევროპიული ცეკვა ინოჩენცის გამგეობით. მოედანი ელექტრონით იქნება განათებული. დაუკრავს სამხედრო მუსიკა და დუდუკი.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე (3—უ.—3)

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. ახალი მდივნისა. (35)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—116)

ე ქ ი მ ი

ვ. ხ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

გამნაზე და ვენერიული. დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ე ქ ი მ ი

ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—65)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 3 ივნისს 1907 წ., დანიშნულია არჩევნები ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა მეორე საარჩევნ ნაწილში, არაქსიანის თეატრში, ვარშამოვის სახ., კახეთის მოედანზე. არჩევნები დაიწყება დილის 10 საათზე და გაგრძელდება ნაშუადღევის 4 საათამდე. იმათ, ვინც საკანდიდატო სიებში არ არიან შეტანილნი და უნდათ-კი ხმოსნობაზე კენჭი იყარონ, ეს თავიანთ სურვილი გამოაცხადონ დილის 11 საათამდე, რა დროიდანაც დაიწყება კენჭის ყრა. ამ დროიდან აღარ შეიძლება ახალ კანდიდატების დასახელება, 4 საათზე დაიწყება კენჭების თვლა. (3—6.—1)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—120)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

განჯის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდნევი—შინ. სნეულ. კვირას 3—4 ს.

იანჩევსკი—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.

ვნუკოვი—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

არმთლაევი—შინ. და ბავშ. ყოველ. 11—12 ს.

ანპინთვი—ყურ. ყელ. და ცხვირის დროებით წავიდა.

ნოვიცკი—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.

გორბაცევიჩი. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

ნეუმინი—თვალ. ორშ., ოთხ. პარ. 12—1 ს.

ინაევი. ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.

თეთრამე—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—2 ს.

ბოგოვსკი—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.

მონხე—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.

ექიმი ქალი იოხელიანი:—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.

პავლოვსკი—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

ნევშთროვა—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.

პივარსკი
ჩუდნოვსკი — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—97)

ლ ა მ ბ ა შ ი ძ ი ს

სანატორიუმი

პატარა-ცემში

ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.

პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—3)

დილის ქართული წარმოდგენა

ტ ფ ი ლ. ს ა ხ ა ზ ი ნ ო თ ე ა ტ რ შ ი.

კვირას, 3 ივნისს 1907, წ. ქართულ-დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ბერლეინისა:

სამხედრო ბანაკში.

დრამა 4 მოქ. თარგ. ა. იმედაშვილის მიერ. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი დილის 11½ საათზე. აღებული ბილეთები 31 მაისისა გამოიცვლება თეატრის კასაში.

(2—უ.—1) გამგე ს. სვიმონიძე.

შორაპნის შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო.

აცხადებს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ნებართვით მეცხრე კრების სხდომები გადატანილ იქნა ჭიათურაში. ჭიათურაში სხდომები დაიწყება ორშაბათს, 4 ივნის, დილის 10 საათზე. (1—6.—1)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ე ქ ი მ ი მ ა ც ი უ ხ ო ვ ი.

მიიღებს შინაგან, სიფილისით, ვენერიულ ავადმყოფებს და ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—19)



ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აილონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია" ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы.

(50—73.—27)

## ტფილისი, 2 ივნისი.

ქართველ მასწავლებლების ერთი წრე აპრილის შუა რიცხვებში გაზეთის საშუალებით აცხადებდა, საპედაგოგიო კრებულის გამოცემა გადავწყვიტეთ და იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ თავისი წერილები მოათავსონ კრებულში, ვთხოვ პირველ მაისამდე წარმოადგინონ ეს წერილებიო. გავიდა პირველი მაისიც და კიდევ მთელი თვეც მაისის შემდეგ. მაგრამ საპედაგოგიო კრებული კი არსადა სჩანს. ის თითქოს ყველას დაავიწყდა, იმათაც კი, ვინც კრებულის გამოცემა პირველად განიზრახეს. ქართველ პედაგოგებს სწორედ ისეთივე საქმე დაემართათ, როგორც სათათბიროს წევრებად არჩეულ ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ამ უკანასკნელთა ინიციატივითაც ტფილისში ერთი კომისია დაარსდა აგრარულ საკითხის შესახებ მოხსენების შესამუშავებლად. ეს კომისიაც გაზეთებში აცხადებდა, მსურველებს ამა და ამ დროისთვის ვთხოვთ მასალები წარმოადგინონო. ამ კომისიისაგან დანიშნული ვადაც კარგა ხანია გავიდა, ხოლო არც მოხსენების და არც მასალების შესახებ არაფერი არ ისმის.

ვინ იტყვის, რომ ან აგრარული საკითხი და ან საპედაგოგიო საკითხები ღრმა საზოგადოებრივ ინტერესს არ შეიცავდნენ? ვინ იტყვის, რომ სკოლა ცხოვრების ახალ პირობების მიხედვით სრულიად ახალ ნიადაგზე არ უნდა დაემყაროს? ვინ იტყვის, რომ ამ ძირითადს რეფორმას წინ არ უნდა უძღოდეს საფუძვლიანი და ყოველმხრივი გამორკვევა სასკოლო რეფორმის სხვა და სხვა საკითხისა, სრული და ფართო გათვალისწინება ეხლანდელ სკოლის მდგომარეობისა, ახალი შეფასება იმის ღირებულებისა და ახალი შუქის მოფენა მთლად ამ საქმეზე? —რა თქმა უნდა, არავინ. ეს თითქოს ყველასთვის თავის თავად ცხადია, ეს თითქოს უთუო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ნაყოფი კი მას მაინც არაფერი გამოაქვს.

რატომო?—იკითხავთ. დიახ, ეს ადვილი საკითხია, ხოლო გამოცნობით კი ძნელი გამოსაცნობია.

წელს ტფილისის ქართულ გიმნაზიისთვის ახალს სასწავლო წესის და გეგმის შემოღებას აპირებენ. თუმცა მთელს საქართველოში ერთად ერთი ქართული გიმნაზია არსებობს, მაგრამ ამ ერთად ერთს გიმნაზიაში საშუალო განათლების დამყარებას ახალ საფუძვლებზე დიდი პრინციპიალური და პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. ეს არავისთვის საეჭვო არ არის. აქედან თავის თავად ცხადია, რომ ამ რეფორმის განხორციელებას წინ უნდა უძღოდეს ფართო და სრული გათვალისწინება საშუალო განათლების მრავალ საკითხისა. ამის მაგიერ ქართულ გიმნაზიის გამგებლებმა რეფორმას წინ წაუმძღვარეს სულ ორს პატარა ფურცელზე დაწერილი მოხსენება. საშუალო სკოლის შესახებ მეტად მდიდარი ლიტერატურა არსებობს რუსულსა და ევროპიულს სამეცნიერო მწერლობაში, ჩვენში კი ამ მდიდარი ლიტერატურის მოღვაწეობა ორ ფურცელზე დაწერილს მოხსენებას უნდა გააწევინონ.

რატომ?—ადვილი საკითხავია და ძნელი გამოსაცნობი.

ერთი ქართული დრამის შესახებ, რომელიც სანიმუშოდ რუსულად იყო ნათარგმნი რამდენიმე წლის წინად, რუსულ გაზეთებში სწერდნენ, ეს ადამიანთა ცხოვრების დრამა კი არა, ტიკინების დრამააო. ესევე შეიძლება სთქვას კაცმა ქართულ საზოგადო მოღვაწეობის თითქმის ყოველ მხარეზე. არც სერიოზული შესწავლა საზოგადო მოღვაწეებისაგან თავის სამოქმედო სარბიელისა, არც მეცნიერული გამოკვლევა სადავო კითხვებისა, არც დინჯი და საფუძვლიანი აწონ დაწონვა წამოყენებულის საკითხებისა. თითქოს ცხოვრება მძიმე საწევი ჭაპანი კი არა, გულის შესაქცევარი ტიკინების თამაში იყოსო! თითქოს ის ძირითადი საკითხები, რომელთაც ასე ღრმად შეარყიეს ქართველი ხალხის ცხოვრება და რომელთაც უკვე ურიცხვი მსხვერპლი შეიწირეს, თვით ხალხის ცხოვრების საჭიროებათაგან კი არ წარმოსდგებოდნენ, არამედ თვალის გასართობად იყვნენ გამოგონილი და სხვათა წამბაძველობით იყვნენ გადმონერგილი ქართულ ნიადაგზე!

დიაღ, მწარე სიმართლეა, მაგრამ მაინც სიმართლეა, რომ დიდი ნაწილი საქართველოს ეხლანდელი ინტელიგენციისა თავის სულიერის თვისებებით სრულიად არ შეესაბამება ქართველი ხალხის ახლად გაღვიძებულს თვითცნობიერებას და ქართველი ხალხის მიერ ახლად წამოყენებულ საკითხების სიდიადეს. ეხლანდელი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, აღზრდილნი ერის სრული დაძაბუნების ხანაში, რა თქმა უნდა, ვერა ვარგობენ ახალი ცხოვრების მესვეურებად. მოვა დრო და ახალს პირობებში გაჩენილი ახალი ინტელიგენცია დაიჭერს ეხლანდელ ინტელიგენციის ადგილს. მხოლოდ მაშინ თუ მიეცემა ქართველ საზოგადო მოღვაწეების მოქმედებას შესაფერი სიმტკიცე, საფუძვლიანობა და სიბეჯითე, თორემ მანამდე—ძალიან საეჭვოა.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**სახელმწიფო საბჭო.** 30 მაისის სხდომა, აკიმოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა ნაშუადღევის 1-ლ ს. და 19 წ. საბჭომ განიხილა სათათბიროს მიერ მიღებული კანონპროექტი 17.500.000 მანეთის კრედიტის გადადების შესახებ დამშეულ ხალხის გამოკვებისათვის. საბჭოს წევრთა ყურადღება მიიქცია კანონ-პროექტის მეორე ნაწილმა, რომელიც თხოულობს, რომ გამოკვების საქმის ანგარიში სამინისტრომ უნდა წარუდგინოს სათათბიროს არა უგვიანეს 1908 წლის 1 იანვრისა. მომხსენებელი კომისია შეუძლებლად სთვლის ამ მოთხოვნას, რადგან სამინისტრო ვერ მოასწრებს ამ დროისთვის მთელის და სრულის ანგარიშის წარდგენასაო; მაგრამ იმის მიზეზით, რომ ხალხის გამოკვების საქმე არ შეფერხდესო, კომისია საჭიროდ სთვლის მთელის კანონპროექტის მიღებას. ზოგი წევრი, როგორც მაგალითად პიხნო, კასატკინი და სხვები, წინააღუდგნენ კანონ-პროექტის მეორე ნაწილს. ფინანსთა მინისტრმაც აღიარა, რომ სათათბიროს მოთხოვნა ანგარიშის წარდგენის შესახებ იანვრისათვის მეტად ძნელი ასასრულებელიაო, მაგრამ მთავრობა ყოველ ღონეს მიიღებს მის აღსასრულებლადაო და სთხოვს საბჭოს შეიწყნაროს სათათბიროს კანონპროექტი. მცირე კამათის შემდეგ საბჭომ ერთხმად შეიწყნარა კანონ-პროექტი. ამის შემდეგ საბჭო შეუდგა სენატის განახლების შესახებ პროექტის განხილვას. ილაპარაკა რამდენმამე ორატორმა, თითქმის ყველამ პროექტის წინააღმდეგ. დარჩა კიდევ 13 ორატორი; სხდომა გადაიდო 2 ივნისამდე.

**სათათბირო.** სტოლიპინმა მისწერა გოლოვინს: 10 მარტს იუსტიციის მინისტრმა სათათბიროს თავმჯდომარეს გამოუგზავნა პირი გამომძიებლის დადგენილებისა, რომლის ძალითაც პასუხის გებაში იქნენ მიცემულნი დეპუტატები შპაგინი, კირიენკო, ჩეხოვსკი, კუსტარი, ბოტაშოვი, გერუსი, კრასილიუკი და კუზნეცოვი. მათ ისეთ დანაშაულობის ჩადენა ბრალდებათ, რომელსაც შედეგად მოსდევს უფლებების შეზღუდვა. 16 და 20 მაისს გოლოვინსავე შეატყობინეს კუზნეცოვის და შპაგინის პასუხის გებაში მიცემის შესახებ, 23 მაისს—კუსტარის პასუხის გებაში მიცემის შესახებ. მიუხედავად ამისა, სათათბიროს დღემდი არ განუხილავს ეს საქმეები. საქმის ასე გაჭიანურება სასამართლოს ღირსებას ამცირებს. გარდა ამისა ზემოხსენებულ დეპუტატების სათათბიროში მონაწილეობის მიღებას შეუძლიან სათათბიროს დადგენილებანი საეჭვო გაჰხადოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის საკითხი რამდენისამე ხმის უმეტესობით სწყდება ხოლმე. ამ მოსაზრებით, სტო-

ლიპინი საჭიროდ სცნობს დაუყოვნებლივ გაირჩეს სათათბიროში ზემოხსენებულ დეპუტატების საქმე. ნაკაზის კომისიამ განიხილა ეს წერილი სტოლიპინისა და თავისი აზრი აცნობა სათათბიროს თავმჯდომარეს. კომისიის აზრით, ჯერ უნდა გამოირკვეს წეს-რიგი ამ საქმეების განხილვისა.

ამნისტიის კომისიაში არჩეულ იქმნენ: მომხრენი ამნისტიის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტისა ს.-რ. შირსკი, სახ. სოციალისტები დემიანოვი და ტიგრანიანი, მშრომელთა ჯგუფის წევრნი ტიხვინსკი და ბულატი; მოწინააღმდეგენი.—კადეტები მაკლაკოვი, მამინი და როზინი, ოქტომბრისტი კაპუსტინი, პოლონელი სლავსკი და მაჰმადიანი ხან-ხოისკი.

აგრარულმა კომისიამ, 77 წევრის თანადასწრებით, ერთხმად აღიარა საჭიროება საადგილ-მამულო ფონდის შექმნისა. იმავე კომისიამ, 41 ხმით 36 ხმის წინააღმდეგ, აუარ ჰყო მუდმივ საადგილ-მამულო ფონდის შექმნა. ამის გამო თავის თავად უარყოფილ იქმნა სამი სხვა წინადადება იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე უნდა შესდგეს ფონდი—სოციალიზაციისა, ნაციონალიზაციისა თუ მუნიციპალიზაციის საფუძველზე.

ობერ-პროკურორის წინადადებით სენატმა განიხილა შემდეგი საკითხი: შეიძლება თუ არა სათათბიროს წევრის შეპყრობა დანაშაულობის ჩადენის დროს ან მეორე დღეს, თუ შესაპყრობად საჭირო გამომძიებლის დადგენილება. სენატის აზრით, პოლიციას შეუძლიან შეპყრობა.

## ახალი ამბავი

✦ **ბოზარჯიანცის მოთხოვნილება.** 28 მაისს თამბაქოს ქარხნის პატრონმა ბოზარჯიანცმა თავის ფაბრიკის მუშებს 17 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნილება წარუდგინა. აი, უმთავრესი მუხლები: მუშების მიღება ფაბრიკის პატრონის საქმეა; უცხო პირს ფაბრიკაში შესვლის უფლება არა აქვს; ავანსი არავის არ მიეცემა; კოლოფების მკეთებლებს სხვა დარგის მუშებთან შესვლის ნება არა აქვთ; სადილისთვის გადადებული დრო უნდა გაუქმდეს; საუზმისთვის ნახევარი საათი მიეცემათ; მუშების მიერ მიღებული ორი მუშა უნდა დათხოვნილ იქმნან; უფროს ნოქარს მუშები პატივით უნდა ეპყრობოდნენ; მუშებმა არ უნდა დაიგვიანონ, გაფიცვის დროს ფული არ მიეცემათ და სხვა.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 4 ივნისისთვის სამოსამართლო პალატაში გასარჩევად დანიშნულია საქმე ოზურგეთის მაზრის მცხოვრების ლეონტი მამალაძისა, რომელსაც აბრალებენ ს.-დემოკრატიულ პარტიის წევრობას. მამალაძე 9 თვეა, რაც მეტეხის ციხეში ზის.

✦ **საქველ-მოქმედო სეირნობა.** დღეს, 2 ივნისს, საღამოს ექვს საათზე ქართველ ქალთა ამხანაგობის საპროფესიონალო სკოლის სასარგებლოდ ველოდრომზე (მიხეილის ქუჩა, „ვეტცელის" სასტუმროს პირდაპირ) გაიმართება ველოსიპედებით გაჯიბრება, სეირნობა ცეკვა და ლოტო. ველოსიპედებით გაჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ პეტერბურგიდან ჩამოსული მეველოსიპედე ფიშერი, პეტროვი და სხვანი. იმედია ამ სიმპატიურ საქმეს ხალხი თანაგრძნობას გაუწევს და არ დაიშურებს თავის წვლილს.

✦ **ავადმყოფ არტისტთა სასარგებლოდ.** ხარბინიდან ავადმყოფ ვ. გუნიას სასარგებლოდ მივიღეთ თხუთმეტი მანეთი. ფული ხარბინის გიმნაზიის მოსამზადებელ კლასის გრიგოლ, კალისტრატე და მარიამ ელიავებმა გამოგზავნეს. ჯებრაილიდან ი. მ. დუმბაძისაგან ვ. გუნიას და კარგარეთელის სასარგებლოდ მივიღეთ სამი მანეთი.

✦ **ყაჩაღის მოკვლა.** განჯის მაზრის სოფ. ტარსდოლიაში მცხოვრებლებმა, სააგენტოს დეპეშით, მოჰკლეს ყაჩაღი მოგდამანი. პოლიცია და კაზაკები სხვა ავაზაკებს დასდევნებიან.

✦ **გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** იგზავნებიან: ვიატკის გუბერნიაში—ივანე კურდღელაძე—სამი წლით; თეოფანე ლორთქიფანიძე და სიმონ გარაყანიძე—ხუთი წლით; ასტრახანის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე—სასტუმროების მოსამსახურენი სეფე რაზმაძე, ალექსანდრე ჰუბაბრია და ვარლამ გვენცაძე და საბა ჩაჩიბაია. საგ.-გუბერნატოროდან ჰგზავნიან ზაქარია კულესაშვილს და ა. სტრელცოვს.

✦ **დეპოს უფროსის თანაშემწის მოკვლა.** ალექსანდროპოლში 31 მაისს ვიღაცამ რევოლვერით მოჰკლა დეპოს უფროსის თანაშემწე.

✦ **მკვლელობა** ამ დღეებში სტრაჟნიკებმა მოჰკლეს ქ. თელავში აქსენტი სიდამონიძე.

✦ **დაპატიმრება.** 29 მაისს „როსსია" სასტუმროში დააპატიმრეს, ამავე დღეს პეტერბურგიდან ჩამოსულნი შემდეგნი პირნი: ი. ყარალოვი, ბ. დავგალი და ა. სმირნოვი, მათ ერთი თოფი უნახეს.

✦ ერთი ბიჭი ტრამვაის ერთ ვაგონიდან მეორე, მიბმულ ვაგონში ხტებოდა. ვატმანმა გერასიმოვმა ბიჭის დაჭერა მოინდომა, თითონ ვაგონებს შუა ჩავარდა და ორივე ფეხი დაიჩეჩქა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 31 მაისს დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს ნიკო ერიქოვი და არაქელა ოქუაშვილი.

✦ ტფ. სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის ორგანიზაცია გადასდეს ქალაქის ახალი საბჭოს მოქმედების დაწყებამდე.

✦ ქართული წარმოდგენა დანიშნული 31 მაისისათვის გადატანილია 3 ივნისისათვის სახაზინო თეატრში დილით. წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ბერდეონისა „სამხედრო ბანაკში". წარმოდგენის შემოსავალი დანიშნულია უმუშევართა სასარგებლოდ.

✦ 29, 30 და 31 მაისს ქალაქში შემდეგი ამბები მოხდა: კოჯის ქუჩაზე ვიღაცეები დაეცნენ სიღნაღელს იაკობ შლამოვს, დასჭრეს იგი და მიიმალნენ. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს. მადათოვის კუნძულზე ანნა დანილოვისამ დასჭრა დანით ბ. კობირინი. დამჭრელი შეიპყრეს. რიყის ქუჩაზე ტრამვაის ქვეშ მოჰყვა ოთხი წლის ბავშვი ილია მაკლაკოვი. ბავშვი ძალზე დაშავდა. ნაძალადევის ბაღში ვიღაცეებმა ფეხში დასჭრა იოსებ მირიმანოვი.

✦ „ქ.-შორის წერა-კითხ. გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ სკოლების რევიზორად გაგზავნილი ბოცვაძე დაბრუნდა და ამ დღეებში მოხსენებას წარუდგენს დათვალიერებულ სკოლების მდგომარეობის შესახებ.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ტყიბულის საქმე, უსაჭიროეს მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო, პალატამ გადასდო.

ჟანდარმთა გამგეობის მოთხოვნილობით, გენ.-გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, რომ დაატუსაღონ ალ. კანდელაკი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც საზღვარ-გარეთიდან მოვიდა და რომელსაც თურმე ანარქისტობას სწამებენ.

„დანოსმა" კვლავ მოიკიდა ფეხი ქუთაისში. ბრალიანსა და უბრალოს ეს ვოლონტერები ცილსა სწამებენ და ის-კი ავიწყდებათ, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. ვიღაცას უსახელო „დანოსი" მიუცია გუბერნატორისთვის. ვითომ ქალაქის გამგეობამ საავადმყოფოს შენობის ასაგები თანხა გაანიავა და გაჰფლანგაო. დაინიშნა რევიზია, რომელმაც აღნიშნა სრული სიცრუე და უსაფუძვლობა დაბეზღებისა.

საგლეხო საკრებულოს წევრს ბიბიკოვს, როგორც ამბობენ, აძლევენ ნამესტნიკის საგანგებო საქმეთა მოხელის ადგილს, ნაცვლად ოსეცკისა, რომელსაც თურმე ნიშნავენ ნამესტნიკის საბჭოს წევრად.

✦ სამასწავლებელო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, სამსახურიდან დათხოვნილ იქნა სამი მასწავლებელი ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისა.

✦ დაიწყო ბანკის რწმუნებულთა კრება, რომელმაც თავმჯდომარედ ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე თ-დი დავით ნიჟარაძე აირჩია. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, რამდენიმემ განაცხადა, რომ ანგარიში უდიდეს ნაწილს წევრებისას არ დარიგებია და ზოგიერთს არცკი სცოდნია, რომ 29 მაისისათვის რწმუნებულთა კრება იყო დანიშნულიო. თუმცა გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრებმა განაცხადეს, რომ ანგარიში ერთი კვირის წინად დავუგზავნეთ წევრებს და ჩვენი ბრალი არ არის, თუ ბანკის მოსამსახურეებმა არ ჩააბარათ, მაგრამ უმრავლესობამ მაინც ინდომა კრების გადადება ერთის დღით მაინც, რომ ანგარიშს გაცნობოდნენ. თავმჯდომარემ კრება 30 მაისისათვის გადასდო.

ძველებური ელფერი ბანკის კრებებმა დაჰკარგეს. აგიტაციის ხსენება არსად არის. პარტიობა მიწყდა და ამიტომ 210 კაციდან პირველ კრებაზე 20 კაცი ძლივს გამოცხადდა—ესენიც ქუთაისის მცხოვრებნი არიან, რომლიდგან ცოტაა მოსული. მეზობლად მრეწველთა კრებაზე თავს იმტვრევენ, რომ ქართულ ენაზე ლაპარაკის უფლება მოიპოვონ, ბანკის რწმუნებულნი-კი, თუმცა ქართულად ლაპარაკის უფლება აქვთ, თითქო საითაოდ რუსი ჩაუყლაპავთო, რუსულად ბაასობენ. ერთად-ერთი კაცი, რომელმაც პირველ კრებაზე ქართულად ამოიღო ხმა, გახლდათ ყოფილი დეპუტატი სერგო ჯაფარიძე, მაგრამ იმისმა ცდამ ტონმა, ვერ იმოქმედა და სხვა ორატორებმა კვლავ რუსულად განაგრძეს ბაასი.

30 მაისს კრებამ დაამტკიცა წლიური ანგარიში.

მთავრობის მიერ დანიშნულ გამგეობის თავმჯდომარის შესაგებ კრებამ გადასწყვიტა დეპეშით სთხოვოს ფინანსთა მინისტრს, რომ დაწესებულების მართვა-გამგეობის საქმეში ნორმალური წესი დამყარდესო.

დანარჩენი დრო მოანდომეს სარევიზიო კომისიის მოხსენებას ტფილისში დარჩენილ მამულების შესახებ და ამ მოხსენების საპასუხოდ წარმოდგენილ მოხსენებებს ტფილისის განყოფილების გამგის ვ. აბულაძის და დამფასებელ კომისიისა. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ერთ ნაწილს კრებისას თავმჯდომარის მეთაურობით სურვილი არა ჰქონდა წაკითხულიყო სარევიზიო კომისიის მოხსენება და როცა კრების რამდენიმე წევრმა პროტესტი განაცხადა და სულ აღნიშნა, რომ გაზეთებში იყო მოთავსებული დაწვრილებით ცნობები რევიზიის შესახებო, საიდუმლოების მოყვარულთა შორის ხმა გაისმა: გაზეთებში ბევრ სიცრუეს ბეჭდავენ და ჩვენ რომ ყველაფერს ყური ვუგდოთ, შორს წაგვიყვანსო. როცა წაიკითხეს მოხსენებანი, აღმოჩნდა, რომ გაზეთებს მესამედი არ დაუნიშნავთ იმისა, რაც მოხსენებაშია აღნიშნული, ასე რომ გაზეთებს-კი არ მოუგონიათ სიცრუე, კრების წევრებს უნდოდათ საქმის გადაფუჩეჩება. კრება გადადო 31 მაისისათვის.

## შავი ქვის მრეწველთა მეექვსე კრება.

ახირებულ სურათს წარმოადგენდა მეექვსე კრება 29 მაისს. კაცს ეგონებოდა, რომ ეს კრება კი არა, სამსჯავროაო, სადაც ვიღაცას ასამართლებდნენ. ეს «ვიღაცა» საბჭო იყო. დაიწყო თუ არა ბ-ნმა ჩენგერიმ კრება, საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა, სარევიზიო კომისიის მოხსენებაზე პასუხი აგეო. ზდანოვიჩმა უპასუხა, რომ მე ბრალდებული არა ვარ, რომ «პასუხი ვაგო» და არც სარევიზიო კომისია ასრულებს პროკურორის როლს. კომისია ვალდებულია აღნიშნოს შეცდომანი ნებსითნი თუ უნებლიეთნი და კრებაზე ამ შენიშვნებას განხილვით უნდა გამოირკვეს საქმის ნამდვილი ვითარება და საბჭოს მოქმედების პოლიტიკაცაო.

ეს იყო და ეს. დაიწყო ცხარე კამათი იმას შესახებ, თუ ვინ უნდა გამოსთქვას პირველად თავისი აზრი საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა შესახებ—საბჭომ, კომისიამ თუ კრების წევრებმა. კარგად რომ მოიქანცნენ ლაპარაკით, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჯერ კრებამ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი საბჭოს მოქმედების შესახებ.

სამმა ორატორმა ილაპარაკა საბჭოს მოხსენების შესახებ. მოსალოდნელი იყო, რომ ორატორები მარტო სარევიზიო კომისიის მოხსენებაზე არ დაამყარებდნენ თავიანთ სიტყვებს, თავის წვლილს შეიტანდნენ საქმეში და ახალს რასმეს დაანახვებდნენ კრებას საბჭოს მოქმედებაში, ამ მხრით ორატორებმა კიკვაძემ და ურატაძემ ვერ დაგვაკმაყოფილეს, რადგან მთელი მათი კრიტიკა საბჭოს მოღვაწეობისა აშენებული იყო იმ ფაქტებზე, რომელიც აღნიშნულია სარევიზიო აქტში და ახალი ვერაფერი შეიტანეს საქმეში. მესამე ორატორთან ბ-ნ გაბილაჯსთან წინდაწინვე ბოდიშს ვიხდი: იმის ნათქვამიდან ვერაფერი ვერ გავიგე.

მაინც მოვალედ მიმაჩნია ჩემი თავი მოვიყვანო ის ფაქტები, რომელიც ზემოდ დასახელებულმა ორატორებმა აღნიშნეს გარეშე სარევიზიო კომისიის მოხსენებისა.

კიკვაძემ აღნიშნა, რომ დაზარალებულ მუშებს მრეწველები ხშირად ფულის მიცემის მაგივრად, პირიქით ართმევენო; ამ მხრით, იმის სიტყვით, საბჭოს ერთმა წევრმა ისარგებლა შემთხვევით და მუშას ვითომდა საქმის გაკეთებაში ფული დასტყუა. ბიბლიოთეკა თავის დანიშნულებას ვერ ემსახურება, რადგან ისეთი გაზეთი, როგორიც «ლახვარია», არ მოსდისო და «ისარიც» ერთი ცალი მოსდის, თუმცა 5 და 6 ცალია საჭირო. მუშათა სტატისტიკა არა სწარმოებს. გზების კეთების დროს, საბჭო ისეთ მოიჯარადრეებს აძლევს საქმეს, რომელნიც მოვალეობას რიგიანად არ ასრულებენ. საავადმყოფოს მოსამსახურენი კარგად და პატიოსნად ემსახურებიან საქმეს და თუ ხანდახან ვერ აკმაყოფილებენ ავადმყოფებს, ეს იმისი ბრალია, რომ 16 საათს მუშაობენ დღეშიო. ყოველივე ეს იმიტომ ხდება, დაამთავრა თავისი გძელი სიტყვა ბ-მა კიკვაძემ, რომ საბჭო უკანტროლოთ მოქმედებს და იმის მაგივრად რომ ჭიათურაში იყოს, ქუთაისშიაო.

ს. ქვარიანმა კვლავ აღძრა ლაპარაკი, რომ საბჭომ თავი იმართლოს და მერე ჩვენ გავსჯითო და თან დასძინა, ზდანოვიჩს იმაზე მეტი არაფერი გაუკეთებია ოთხი დღის განმავლობაში, რომ ჩემს სიტყვებს ამახინჯებსო.

ბ-ნა ურატაძემ უცვლელად განიმეორა სარევიზიო აქტში აღნიშნული ფაქტები და კომენტარიები გაუკეთა. მან ის აზრი გამოსთქვა, რომ საბჭო, როცა საქმეს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესობა ეხებოდა, განგებ აფერხებდა, ამავე დროს უკანონობასაც სჩადიოდა და კრების გადაწყვეტილობას არღვევდა, რათა პოლიციისთვის ზედმეტი ფული მიეცა, ან სტიპენდიები მდიდრებისათვის დაენიშნა და სხვა.

ოპოზიციამ დაამთავრა თავისი კრიტიკა და სიტყვის უფლება მიეცა ზდანოვიჩს, მან თავმჯდომარისაგან გამოითხოვა უფლება, რომ კრების წევრთ ნება ჰქონოდათ შეკითხვისა ან განმარტებისა, თუ ისინი, რასაკვირველია, ამას მოითხოვდნენ. შემდეგ იგი შეუდგა რევიზიის განხილვას.

1. რევიზიის მიერ აღნიშნულია, ვითომ საბჭოს 64.940 მანეთი ზედ-მეტი ხარჯი გაუწევია. ეს შემცდარი აზრია, ვინაიდან საბჭოს ზედ-მეტი კი არ დახარჯა, არამედ 8000 მანეთით ნაკლები, ვიდრე უფლება ჰქონდა; 2. რევიზიის შენიშვნა იმის შესახებ, რომ მოსამსახურეებს ავანსად წაღებული ჰქონდათ 6500 მანეთი იმ დროს, როცა დაზარალებულ მუშებს მანეთობით ეძლეოდათ ფული, სამართლიანად აღიარა ზდანოვიჩმა, და თუ კრება დაგვავალებს მოსამსახურეებს, რაც უნდა უჭირდეთ ნურაფერს მისცემთო, ჩვენ, რასაკვირველია, შევასრულებთო; 3. სტიპენდიები ხშირად შეძლებულთ ეძლევათ, მაგრამ ამაში დამნაშავე საბჭო კი არ არის, არამედ კრების მიერ მოწონებული ინსტრუქცია, რომელიც გვავალებს ერთი ნაწილი თანხისა მრეწველთა შვილებს მიეცეთ, ღარიბები იქნებიან ისინი თუ მდიდრები, მეორე მოსამსახურეთა შვილებს და მესამე, უმცირესი ნაწილი გადადებულ თანხისა, შეგვიძლიან მივცეთ სხვებსაც. პირველსა და მეორე შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, ჩვენის სურვილის წინააღმდეგ, ის, რასაც გვისაყვედურებენ; 4. პოლიციას ზედ-მეტი ფული, წინააღმდეგ მერვე კრების გარდაწყვეტილებისა, იმიტომ კი არ მიეცა, როგორც ამას გვიკიჟინებს ბ-ნი ურატაძე, რომ ვითომ ჩვენ განსაკუთრებული სიმპატია გვამოქმედებდეს პოლიციის მიმართ, არამედ იმიტომ, რომ გენერალ ალიხანოვის ბრძანებაზე დამყარებული მოთხოვნილება მივიღეთ შორაპნის მაზრის უფროსისაგან და საბჭო დაემორჩილა მას; 5. უკანასკნელად ზდანოვიჩი შეეხო რევიზიაში აღნიშნულს და ბ-ნ კიკვაძის მიერ განმეორებულ იმ აზრს, რომ საავადმყოფო მოუწყობელიაო. უკეთესი საავადმყოფო გუბერნიაში არ არისო, სთქვა ზდანოვიჩმა, ხოლო რაც შეეხება იმას, ვითომ მოსამსახურენი, სიმცირის გამო, 16 საათს მუშაობენ, დაუჯერებელ ამბად ჩასთვლის ყველა, როდესაც გაიგებს, რომ 30 ავადმყოფს 25 კაცი ემსახურება. ნაკლი საავადმყოფოს აქვს, მაგრამ მისი მოსპობა ჩვენ ხელთ არ არის, ვინაიდან უფულობა ნებას არ გვაძლევსო.

ზდანოვიჩის სიტყვა თითქმის 3 საათს გაგრძელდა. ნაშუადღევის 4 საათზე თავმჯდომარემ კრება დახურა.

30 მაისს ადრე შეკრებილ მრეწველთა შორის ხმა გავრცელდა, რომ ნებართვა კრების გადატანის შესახებ ჭიათურაში მიღებულიაო. თავმჯდომარემ შეკრებილთ აუწყა სამთო დეპარტამენტის დირექტორის დეპეშა, რომლითაც ნება ეძლევა თავმჯდომარეს კრება ჭიათურაში გადაიტანოს, ხოლო ბაასი რუსულ ენაზე უნდა სწარმოებდესო. უკანასკნელმა განკარგულებამ არავითარი პროტესტი არ გამოიწვია და პირდაპირ შეუდგნენ იმის განხილვას, თუ როდის დაიწყოს კრება ჭიათურაში. ხმის უმეტესობით კრება გადაიდო 4 ივნისისათვის.

## წერილი სპარსეთიდან

**შარიათი სპარსეთში და ამბოხება მაკინის სახანოში**

სპარსეთში ორ-მთავრობა გრძელდება. ზოგან ასეთი მდგომარეობა არავის ყურადღებას არ იქცევს, არავის არ ეხამუხება, თითქო შეურიგდნენ და შეეჩვივნენ კიდეც ამ უცნაურობას, მაგრამ ყველგან ასე არ არის. არის ადგილები, სადაც ხალხი [illegible] და [illegible] მთავრობის წარმომადგენლებს. საერთოდ, როგორც წინადაც ვაუწყეთ მკითხველებს, სპარსეთის მოძრაობას არ ეტყობა გარკვეული, ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი მისწრაფება, ხელმძღვანელთა მოქმედებას არ აქვს წამძღვარებული პროგრამა. გამოურკვევლობის მიზეზი ის ჯაჭვია, რომელიც მჭიდროდ შემორტყმია ხალხს, რომელიც სრულიად უსპობს ხალხს საერთოდ და თვითოეულ პიროვნებას კერძოდ თავისუფლად ფეხის გადადგმას, თავისუფლად ამოსუნთქვას, ფიქრსა და ოცნებასაც-კი. ეს გახლავთ შარიათი. სპარსეთი, გარდა მცხოვრებთა ძალიან მცირე რიცხვისა, შარიათის მიმდევარია. შარიათი-კი ისეთი დებულებაა, რომელიც კანონისაგან განირჩევა იმით, რომ მისი შეცვლა არ შეუძლიან ხალხს. კანონი არ ეხება წვრილმან მოვლენას ადამიანის ცხოვრებაში, შარიათი-კი არა სტოვებს ხელშეუხებლად ცხოვრების არც ერთ წვრილმანს; კანონიერების დაცვა დავალებული აქვს რამდენიმე პირს, შარიათის დაცვა-კი—დიდს და პატარას, ხოლო ბრალდების განმარტება და შარიათის დამარღვეველის ბრალის აწონ-დაწონვა შეუძლიან სამღვდელოებას და სჯულთა წიგნებს; ამათ ეკუთვნის უკანასკნელი სიტყვა.

სპარსეთში მოძრაობამ არა თუ ხელშეუხებლად დასტოვა შარიათი, არამედ შაჰის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში შარიათი წაიმძღვარა, რამაც, მთელი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დააყენა, უცებ და ყველგან წინააღმდეგობა გამოაცხადებინა დაბეჩავებულ, უთვალავ ბოროტების მომქმედ და სამშობლოს მოღალატე მთავრობისთვის. თქმა არ უნდა, შარიათი ძლიერი საშუალებაა, მოძრაობის მოთავეებს უძლეველად ხდის იგი, მაგრამ ამასთან თვით მოძრაობისთვის და მის შედეგ ნაყოფიერებისათვის შარიათი ორ-პირი იარაღია, მტერსაც ჰგოდავს და მოყვარესაც. შარიათი იმ სახით, რა სახითაც იგი აღიარებულია, რა სახითაც შეუბოჭავს მას ხალხი, ვერასოდეს ვერ შეეგუება კულტურის მოსაფენ პირობებს, ხელს შეუშლის აგრარულ საკითხის გადაწყვეტას, წინ გადაეღობება ხალხთა შორის სოლიდარობას, არ შეიწყნარებს სხვა სარწმუნოების მიმდევარს, მარტო ნათქვამიც საკმაოა მკითხველისათვის, რომ ცხადად წარმოიდგინოს დაბრკოლება, რომელიც ყოველ ნაბიჯზედ წინ ეღობება მოძრაობის მოთავეებს და მიჰხვდეს, რამდენად გამოსადეგი იარაღია იგივე შარიათი მოძრაობის მოწინააღმდეგეთა ხელში. [illegible] წინ წაწევა და უკან დახევა სპარსეთის [illegible] ხელმწიფო ცხოვრების მსვლელობისა ამითვე აიხსნება თვით შაჰისაგან მრავალჯერ დათანხმება და უარისყოფა კონსტიტუციისა; იგივეა მთავარი მიზეზი იმის [illegible] უცნაურობისა, როგორიცაა ზოგიერთ დიდ მოხელის განდევნა და უკან დაბრუნება, რაც არა ერთხელ მოხდა ამ ზამთარს და გაზაფხულზედ თეირანსა და თავრიზში. ამითვე არ აიხსნება მხოლოდ უკანასკნელი კონფლიქტი, რომელიც მოხდა რუსეთის საზღვრის მახლობლად.

ის ადგილი სპარსეთისა, რომელიც ერევნის გუბერნიის საზღვრავს და იწოდება მაკინის სახანოდ, დასახლებულია მომეტებულად ქურთებით. ესენი მიმდევარნი არ არიან შარიათისა. მაკინის ხანი თითქმის დამოუკიდებლად განაგებს თავის სახანოს. მისი ქვეშევრდომნი მუდამ შეიარაღებულნი არიან და ითვლებიან მეომრებად საუკეთესო. ამ ბოლო დროს ამ მამაც ხალხში ხანის საწინააღმდეგო აზრები გავრცელდა. მოთავე აგიტაციისა იყო თვით ხანის ძმისწული. აგიტაციამ მიზანს მიაღწია. ხალხი აღდგა [illegible] და ბრძანებლის წინააღმდეგ და ერთ მშვენიერ დღეს რამდენიმე ასი კაცი თავით ფეხამდე შეიარაღებულნი, დაეცნენ სასახლეს. ხანმა ძლივს გაასწრო, გადავიდა არაქსს და თავი რუსის მთავრობას შეაფარა. შეიქმნა არაქსის გაღმა გამოღმა მითქმა-მოთქმა: ხმა გავრცელდა, რომ რუსის მთავრობა საკუთარ ჯარის შემწეობით ჩააქრობს მღელვარებას და ხანს სახანოში დაამკვიდრებსო.

მაისს ჯულფში მივიდნენ ალიხანოვ-ავარსკი, ერივნის გუბერნატორი, თვით მაკინის ხანი, ნახჩევნის მაზრის უფროსი მოხელენი და აქაურივე რაჰიმ ხანი, მოყვარე მაკინის ხანისა. ყველა ამათ მიაშურეს ხიდს. ხიდი გათავებულია და და მხოლოდ იატაკის დაგება აკლია. ხიდის დათვალიერების შედეგი იყო იატაკის დაგების აჩქარება. ყველა ამან უფრო დააჯერა ხალხი, ვითომ რუსეთის ჯარი ამ ხიდით სპარსეთში გადავა და ძველ წესწყობილებას აღადგენსო.

ალიხანოვი ჯულფიდან ორდუბადში წავიდა, საიდანაც ხმა იყო, რომ იმის მახლობლად სპარსეთის მცხოვრებნი აღელდნენ და შაჰის მთავრობის რამდენიმე მომხრე იმსხვერპლესო. არავინ არ იცის, რისთვის წავიდა ალიხანოვი ორდუბადს, ან რა გააკეთა, ხოლო მეორე დღეს ისევ ჯულფში მოვიდა, საიდანაც რკინის გზით დაბრუნდა. ამავე დროს მაკინის ხანს შაჰისაგან მოუვიდა ბრძანება, დაუყოვნებლივ დაბრუნდეს თავის სამფლობელოში. და წინააღმდეგი აღარ იყო ხანის დაბრუნებისა. მაკინის ხანი დაბრუნდა და დაბინავდა ძველ სასახლეში. ხალხის ძლიერი აღელვება, სასახლის განადგურება, ხანის ისე სწრაფად გამოქცევა, რომ შვილიც-კი დაავიწყდა (მერე წაიყვანეს), მერე ისევ უკან დაბრუნება,—ყველა ეს უცნაურია და მეტად საყურადღებო, მით უმეტეს, რომ ამ სახანოს სპარსეთის მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღია. ეს დასაწყისი მოძრაობისა უკვალოდ არ დარჩა: მოძრაობამ გაანადგურა მშვენიერ სასახლე, მახლობლად რუსეთის სამზღვრისა და თვით ხანის სიცოცხლე განსაცდელში ჩააგდო. ამისთანა არა მომხდარა-რა სხვა ადგილას. პირველ მოძრაობას, ეჭვი არ არის, მოჰყვება მეორე, უფრო სასტიკი და შეუპოვლებელი. **ნახიჩევნელი.**

## ჩვენი ხალხის გაუნათლებლობის ნიმუში.

ქუთაისის ერთ განაპირა ქუჩაზე სცხოვრობს ცამეტი წლის ქალი, რომელსაც ამ ბოლო დროს დიდი ექიმობის ხმა აქვს გავრცელებული თითქმის მთელს იმერეთში.

ეს ქალი ამას წინად წითელათი გამხდარა ავად და ისე მძიმედ, რომ ორი დღე სრულებით გონება დაკარგული ყოფილა. მშობლებმა კი ხალხში ხმა დაჰყარეს, ვითომ იგი ორი დღე მკვდარი ყოფილიყოს და მერე გაცოცხლებულიყოს. ამას ისიც დაუმატეს, რომ ამ ქალმა გაცოცხლების შემდეგ მოიპოვა ყოველ გვარ სენის მორჩენის ძალა.

ეს დაუჯერებელი ამბავი ხალხმა ადვილად დაიჯერა, და მართლაც მრავალი ავადმყოფი მიჰყავთ მოსარჩენად ამ ახლად მოვლინებულ „ექიმთან“. თუმცა ეს ქალი ჯერ კიდევ ნორჩია, მაგრამ ფულის სიყვარული მაინც დიდი ჰქონია, რადგან კარგა ბლომად იღებს „ექიმობაში“.

საიდან არ მოჰყავთ ავადმყოფები! იმდენი ხალხი ასევია, რომ მალე ბილეთებით მიღება დასჭირდება. მე ვიცი მაგალითები, რომ ზოგიერთი ავადმყოფები, რომელნიც ნამდვილ ექიმებთან დადიოდნენ, ახლა ამ ცრუ ექიმთან გადავიდნენ.

აი ნიმუში ჩვენი ხალხის კულტურულ განვითარებისა! ვინ იცის, ჯერ კიდევ რამდენი დრო გაივლის, ვიდრე ჩვენი ხალხი უვიცობის ბურუსიდან გამოვა.

საზოგადოდ, იმერელი, რაც უნდა დაუჯერებელი რამ უთხრათ, დაიჯერებს, მაგრამ ვერ დაარწმუნებთ-კი თავის ცრუ მორწმუნეობაში. წელს, როგორც მოგეხსენებათ, საშინლად მძინვარებს წითელა, დიდი ხველა და სხვა გადამდები სენი. დაუჩემებია ხალხს, რომ ბატონებს სწყინთ ექიმის მოწვევაო. ავადმყოფთან ან სულ არ ეძახიან ექიმს ან და თუ დაუძახეს, მხოლოდ მაშინ, როდესაც შველა გვიანდაა. ამ გვარ ავადმყოფს არც სარეცხს უცვლიან, არც პირს ბანენ. წარმოიდგინეთ ცხვირსაც კი არ მოხოცენ ხოლმე. წელს მრავალი ბავშვი გახდა მსხვერპლი ამ გვარ ცრუმორწმუნეობისა. ამას წინად დამიძახეს წითელიან ბავშთან საექიმოდ. პატარა ოთახი სულ გავსებული იყო ქალებით, ასე რომ უჰაერობით ადამიანს რეტი დაესხმოდა. სამი ქალი ჩონგურზე უკრავდა და რაღაც სიმღერას გაჰკიოდა. როგორც იყო, მივუახლოვდი ავადმყოფ ბავშვს და რა ვნახე! ბავშვი სულს ებრძოდა, წითელაზე ფილტვების ანთება დართოდა და ნახველს დაეხრჩო. არ გეგონოთ, რომ ასეთი ამბები მარტო გაუნათლებელ ოჯახებში ხდებოდეს, ბევრს ასეთ ოჯახებშიაც მიატოვებინეს წამლობა სახადიან ბავშვს, სადაც სტუდენტობა და მოსწავლე ახალგაზრდობა ყოფილა სახლში.

„ადამიანო, ვეუბნები ყველას ამ შემთხვევაში, ვინც ნამდვილ ბატონებად მიგაჩნდა აქამდის, იმას აღარა სჭირს ბატონებად და ამ გადამდებ სენის ბატონობა რაღა უბედურებაა.“

მაგრამ ამაოდ. **ექიმი ბადრიძე.**

## ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების კრება

კრება მოხდა ხუთშაბათს, 31 მაისს, სამეურნეო ბანკის სადგომში თავ. ვ. ს. მიქელაძის თავმჯდომარეობით. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვლილ წევრთ კნ. ს. დ. დიასამიძისა, შ. ა. ჩიტაძის და გ. ს. განზიელის ხსოვნას.

როგორც ანგარიშიდანა სჩანს, საზოგადოება დაარსებულა 1905 წ. 9 იანვარს, რადგან გამგეობას დრო და გარემოება ხელს არ უწყობდა საერო სიმღერების შესაგროვებლად და მის ნოტებზედ გადასაღებად, იგი შესდგომია საერო კონცერტების და ქართულად ოპერების დადგმას. საანგარიშო წელს გამგეობას გაუმართავს ერთი კონცერტი და ორჯელ დაუდგამს ოპერა «ფაუსტი». ხარჯს გარდა წმინდა დარჩენია ორმოც თუმნამდე. ეჭვი არ არის, მეტ უნარს გამოიჩენდა გამგეობა, რომ უსახსრობასა და უბინაობას ხელი არ შეეშალა. ყოველთვიური ხარჯი საზოგადოებას ჰქონია სახლის ქირაზედ, საქმის წარმოებაზედ და სხვა წვრილმანზედ ოთხ თუმნამდე. უბედურება ის არის, წევრებსაც ფული არ შეაქვთ. 123 წევრიდან 1906 წლის საწევრო ფული საზოგადო კრების დაწყებამდე შეუტანიათ მხოლოდ 50 კაცს.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ ის აზრი გამოითქვა, რომ გამგეობამ ოპერების დადგმით ცოტა აუხვია პირდაპირ მიზანს ფილარმონიულ საზოგადოებისასაო. ამასთან იმედი გამოსთქვეს, რომ შემდეგში საზოგადოება შეუდგება თავის პირდაპირ დანიშნულების შესრულებას, ე. ი. საერო სიმღერების შეგროვებას, ნოტებზედ გადაღებას და ორკესტრისათვის მოწყობას. გამგეობასაც, როგორც მისმა წევრებმა სთქვეს, საწინააღმდეგო ამისა არა აქვს-რა, დღემდე მოძრაობისა გამო ვერ შესძლო მან საქმის სასურველად დაყენება.

სიმღერა-გალობის დაწერაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფონოგრაფს და ამის უქონლობაც აბრკოლებდა თურმე საქმეს. თ. ბ. ი. თუმანიშვილმა აღუთქვა ფონოგრაფი.

დასასრულ კრებამ ანგარიში ერთხმად დაამტკიცა.

# პროვინციის ცხოვრება

**კახეთი.** კახეთი სწავლა-განათლების მხრივ მეტად ჩამორჩენილია. იგი დიდი ხანია ერთ წერტილზეა შეჩერებული. ორიოდე სოფლის სკოლაა და ისიც ისეა მოწყობილი რომ არავითარ ცოდნას არ იძლევა. განმათავისუფლებელმა მოძრაობამაც გონების მხრივ ბევრი ვერაფერი შესძინა სოფელს. არც საკვირველია: სოფლებს ჯვარსახარებაზე აფიცებდნენ—სხვა არავინ შეუშვათო, ხოლო თვითონ იმის მეტს არაფერს აკეთებდნენ, რომ მცხვრებივით აძახებინებდნენ: „გაუმარჯოს ცენტრალიზაციას,“ „გაუმარჯოს პროლეტარიზაციას“. არც ერთისა და არც მეორისა გლეხს არაფერი გაეგებოდა.

დიახ, სწავლა-განათლებას მოკლებული კახეთი გონებით ჩამორჩენილია; ყოველსავე ცრუ-მორწმუნოებას ღრმად გაუდგამს ხალხში ფესვი. გული უკვდება ადამიანს, როცა კახეთის მცხოვრებთ უყურებს: ისევ მკითხავები, ისევ შინაური მატყუარა ექიმები, ისევ ასატლელი მოლები, ისევ შელოცვა, ხატების ნიშები, თეთრ კაბიანი მონები, შესაწირავი და სხვა.

ამ ცოტა ხანში კინაღამ ერთი უბედურება არ მოხდა ერთ სასაცილო ამბისა გამო. კახელები ხშირად დაიარებიან პირიქითში ერთ მკითხავთან, რომელსაც ეთქვა ერთ სოფლელისათვის, თქვენ მამულში კაკალთან ხაზინაა: ერთი საარაყე ქვაბი ოქრო, მეფის წულის საშკაული, ზემოდ მღვდლის შესამოსი ალაგია, ჯვარი ასვენია და ჯაგრიანი გველიცა ჰყავს დაპატრონებულიო. ამის გაგონებაზე ახლა მისი განაყოფი წასულიყო და ასეთივე ამბავი ჩამოეტანა. დამტკიცდა, რომ მამულში ხაზინაა, რომელსაც ნათესავებმა დაუწყეს დავა, უწინ ეს მამული ჩვენი ყოფილა და ყველას წილი გვაქვსო. დაიწყეს ჩხუბი, დავიდარაბა და ჩივილი ხაზინის გაყოფაზე. რათა ჩუმად არავის ამოეღო და სხვები ცარიელზე არ დარჩენილიყვნენ, ჰყარაულობდნენ ღამ-ღამობით, მოხელეებსაც კი გამოუცხადეს და ყველას შეატყობინეს, რომ ხაზინაში მთელ საგვარეულოს წილი უდევსო. შეტაკება აუცილებელი იყო, რომ მთელი მამული არ გადაეთხარათ და არ დარწმუნებულიყვნენ, მამულში არაფერი იყო ხრიოკა ქვის მეტი. **ივლი.**

—

**ყვირილა.** ხალხის ყვლეფასა და ცარცვაში დაგეშილებმა კვლავ წამოჰყვეს თავი და დაიწყეს შავი ქვის მზიდავებისაგან შარშანდებურად ფულის გამოტყუება. ვითომ ისინი მეურმეების ინტერესებს იცავენ და კანტროლს უწევენ მრეწველებს, რომ მეურმეები არ მოატყუონ. კარგია კიდევ, რომ ხალხი წელს არა ტყუვდება და ამგვარ არა მკითხე კანტროლებს ქისტის კვრით ისტუმრებს. მეურმეები ამბობენ, ჩვენ ვენდობით, მხოლოდ ადგილობრივ უმუშევართა ბიუროს მიერ არჩეულს კაცებსაო. ამ რიგად 26 მაისს გამოჩნდა ერთი ვითომდა „სოციალისტი“, მუშების ინტერესების დამცველი, და მეურმეებს თითო შაური მოსთხოვა. იგი დააჯილდოეს მით, რომ პოლიციას გადაუცეს. ხმა დადის, რომ ეს ვაჟბატონი პოლიციის აგენტიაო.

როგორც ამას წინად აღვნიშნეთ, ჭიათურიდან შავ ქვას ურმებით ყვირილაში ეზიდებიან. ამ ბოლო დროს თვალ საჩინოდ იმატა ქვის ზიდვამ. დღეში ათასიდან ორი ათასამდე ურემი მოდის დატვირთული. მაგრამ საწყობების უქონლობით მრეწველები დიდს გასაჭირში არიან ჩავარდნილი. არც მეურმეების საქმეა მოწყობილი სასურველად სასწორების უქონლობის გამო. სულ ორი სასწორია და მეურმეები ორ-ორი დღე რჩებიან დ. ყვირილაში და უცდიან აწონას. ამას გარდა ბევრი სხვა ტანჯვაც აქვთ მეურმეებს: ფულს დროზე არ აძლევენ, რაც ხშირად დიდ აურ-ზაურს იწვევს ხოლმე. 24 მაისს, როდესაც ათასამდე მეურმე იდგა და ეჩქარებოდა ქვის გადაწონას, მრეწველმა ფულზე უარი უთხრა. ასტყდა აღიაქოთი. მალე გაჩნდნენ „წესიერების დამცველნი“ და ასტყდა მათრახების ტკაცა-ტკუცი. რამდენიმე კაცი პოლიციაში მიაბძანეს, ორ კაცს თავპირი დაუსისხლიანეს და შემდეგ არხეინად წაბრძანდნენ.

აი, ასეთ გასაჭირში აგდებენ მრეწველები მეურმე გლეხებს. **დამსწრე.**

—

**სოფ. მეტეხი** (გორის მაზრა). სოფელი მეტეხი შეიცავს ოთხასს მკომურს. ერთი უმამულო სოფელთაგანია მთელ გორის მაზრაში. ორთა შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, თვითეულ კომლს ექნება ერთი დღიური, ან ხუთი ჩარექი მიწა. რადგან მთლად ამ სოფლის ხალხი მისდევს მხოლოდ ხვნა-თესვას, ყოველ წლივ იძულებულნი არიან აიღონ იჯარით კერძო პირებისაგან როგორც სახნავ-სათესი, ისე საძოვარი და ტყე. მეტეხელების ნათესები მტკვრის მარცხენა მხარეზეა, ეგრედ წოდებულ აბურიანზედ, თავ. ამილახვრების ადგილებში. ეს ადგილები ძალიან ფიცხია. ახლა გვალვაც ზედ დაერთო და ჭირნახული სულ ერთიან განადგურა. ყველა იმ ფიქრსა და საგონებელშია, რა მისცეს და რაინაირად გასცეს პასუხი მამულის პატრონს.

მეტეხელები საქონელს აბალახებენ იმავე ამილახვრების მამულებში. ყოველ წლივ იღებენ იჯარით, ხოლო წრეულს ჯერ ჯეროვნად არ აუღიათ, რადგანაც უსახსრობით ძალიან უძნელდებათ. გაუყიდათ აგრეთვე მეტეხელებს თ. გიგო ჯავახიშვილის ტყის ვადაც. **მთაბრელი.**

## მაბეზღარი კორესპონდენტი

(წერილი რედაქციის მიმართ)

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს: ეს—დღეების გაზეთს ჰყავს ერთი კორესპონდენტი, ბ-ნი ივანე ხანდამაშვილი, რომელიც გაზეთს დუშეთის ამბებს აწვდის. ამ ვაჟბატონს თავისი თავი სოციალ-დემოკრატად მოაქვს და თავის წერილებში მუდამ ამა თუ იმ პირის „უზნეო“ მოქმედების წინააღმდეგ ილაშქრებს. ასეთ როლში მისი გამოსვლა, ჩემის აზრით, უბრალო „ნედორაზუმენიედ“ უნდა ჩაითვალოს, რადგან მას უფრო მეტი უნარი აქვს გენერალ-გუბერნატორთან „დანოსების“ წერისა ფედერალისტებზე, ვიდრე სოციალ-დემოკრატის სახელის პატიოსნურად ტარებისა. ეს ნიჭი აღმოაჩნდა პირველ რეაქციის დროს დუშეთის ციხეში, სადაც მასთან ერთად იყვნენ ფედერალისტებიც, რომელთა უმრავლესობა ამ ჟამად რუსეთის ცივ ქვეყნებშია გაგზავნილი. აქ მან დასწერა დუშეთის გენერალ გუბერნატორს დიკთან შესანიშნავი „დანოსი“ ფედერალისტებზე. ურცხვობა და თავხედობა ავტორისა იქამდე მივიდა, რომ „დანოსი“ გააკეთა მასთან დაპატიმრებულ მღვდელ სიმონ წერეთლისა და თავის სახელით, თუმცა როგორც გამოირკვა, ამ „სოციალ-დემოკრატს“ არავითარი დასტური და თანხმობა არ ჰქონია წერეთლისაგან. აი თვით შინაარსი:

„მის აღმატებულებას დუშეთის მაზრის გენერალ-გუბერნატორს ბ-ნს დიკს.

ციხეში დაპატიმრებულ ივანე ხანდამაშვილისა და მღვ. სიმონ წერეთლისა

თ ხ ო ვ ნ ა.

ჩვენ თანავუგრძნობთ სოციალ-დემოკრატების პარტიას, რომელსაც მივეკედლეთ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, იმ პარტიას, რომელსაც მის იმპერატორობით უდიდებულესობის ნამესტნიკმა ვორონცოვ დაშკოვმა ნდობა გამოუცხადა 500 თოფის მიცემით. ამ ჟამად ჩვენ ვსხედვართ თორმეტ უსაქმურ რევოლიუციონერებთან ერთად და ჩვენს თავს შეურაცყოფილად (опозоренными) ვთვლით; ამიტომ გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, ციხიდან გაგვანთავისუფლოთ“.

„დანოსი“ დაიწერა გულ-მოდგინედ, მაგრამ ივ. ხანდამაშვილს ამ სადებიუტო შრომამ (ნამდვილად არ ვიცით: იქნება არც პირველი იყო და არც უკანასკნელი იქნება) უნაყოფოდ ჩაუარა. ფედერალისტებმა გაუგეს, თხოვნა წაართვეს და კიდეც დასაჯეს. რაც შეეხება „დანოსის“ შინაარს, აქ კომენტარიები მეტია, თხოვნაში ყველაფერია: სოციალ-დემოკრატია და ვორონცოვ-დაშკოვი, უსაქმურნი და რევოლიუციონერები, რომლებთან ერთად ყოფნაც, „დანოსის“ ავტორის აზრით, სოციალ-დემოკრატისათვის სირცხვილია. რასაკვირველია, ამ საქციელისათვის პირში არ აკოცებენ ივანე ხანდამაშვილს სოციალ-დემოკრატები, რომელთაც მაბეზღარმა ისეთი სამსახური გაუწია, როგორიც დათვმა მეუდაბნოეს.

იმედია, ამ უტყუარს ფაქტს, რომელსაც ბევრნი დაამოწმებენ, თუ საჭირო იქნება, ყურადღებას მიაქცევს საზოგადოება და მოჩვენებულ სოციალ-დემოკრატს ნიღაბს ახდის. **ციხის მერცხალი.**

# სასამართლო

### ჩხარის საქმე.

**ქუთაისი.** 30 მაისს დასრულდა ჩხარის საქმე. სამოსამართლო პალატამ ღამის ცხრა საათზე გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც მიეცათ მიხეილ ჩუბინიძეს—4 წლით კატორგა, თომა ჩუბინიძეს და კოკიაშვილს—ციმბირში გადასახლება, ხანთაძეს და კოპლატაძეს—ერთის წლით დატუსაღება. ნებიერიძე გაამართლეს. დამნაშავეთ იცავდნენ: ნაფიცნი ვექილნი: მ. გრუზენბერგი, ნ. ელიავა და ჯაფარიძე.

### საქმე თავ-დასხმის შესახებ.

**სიღნაღი.** 22 მაისს ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა საქმე ზედგენიშვილებისა და რამდენიმე გლეხისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ სოფ. ტიბაანის მცხოვრებლებზე თავდასხმა და კაცის მოკვლა. ბრალდებულთ იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე ი. მაჭავარიანი. მოწმეთა გამოკითხვა დაიწყო დილის ათ საათზე. მოწმეს თუმცა გამომძიებელთან ისე ჰქონდათ ნაჩვენები, ვითომ ზედგენიშვილების მეთაურობით შემდგარიყოს ს. ჯუგაანში მილიცია მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად და ტიბაანელებსაც ეს მილიცია დაესხა თავს, მაგრამ ეს ჩვენება შემდეგ თვითვე უარჰყვეს. პროკურორის კითხვაზე: „მაშ მილიციონერები არ იყვნენ, ტიბაანელებს რომ დაესხნენ თავს და ურჩევდნენ—ახალი წეს-წყობილება შემოიღეთ, თორემ დაგხოცავთო.“ ზოგიერთნი ასეთ პასუხს აძლევდნენ: „მილიციონერები კი არა, სოფლის მიერ არჩეული კაცები იყვნენ, რომელთაც ჩვენი ადგილ-მამული მივანდეთ საყარაულოდ; მათ უნდა დაეცვათ ჩვენი საქონელი ყაჩაღებისაგან. ტიბაანელებიც მოვადენი იყვნენ, ასეთი ყარაულები აერჩიათ, რადგან ადგილ-მამული ჩვენ საერთო გვაქვს და ერთადაც უნდა გასჯდიყვნენ საყარაულოდ, მაგრამ ტიბაანელებმა ეს არ ისურვეს და როდესაც ფორე ზედგენიშვილმა უთხრა—ჩვენ საერთო მამული გვაქვს, ტიბაანელებმაც უნდა ამოირჩიოთ ყარაულებიო, ვანო ნატროშვილმა (ტიბაანელმა) დაუწყო ფორეს ჩხუბი და ცემა. ფორეს ჯუგაანელები მიეშველნენ, ხოლო ვანო ნატროშვილს—ტიბაანელები. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა კეტებით და ქვებით. შემდეგ ტიბაანელებიდან გამოვარდა თოფი ჯუგაანელებისკენ ამ დროს ფორე ზედგენიშვილი წაექციათ პირქვე და [illegible] ტიბაანელები. როგორც იყო ადგა და ხალხის შესაშინებლად სამჯერ [illegible] გაისროლა, რომლის [illegible] ერთი ტიბაანელი დაიჭრა. [illegible] სროლა. [illegible] აირია ერთმანეთში თოფიანი და უთოფო, ვინ ვის ესროდა, აღარა გაიგებოდა-რა. ჯუგაანელებმა არჩიეს გაქცევა და გაიქცნენ. უკან თოფის სროლით და კეტებით ტიბაანელები მისდევდნენ და ამ დროს დაიჭრა რამდენიმე ჯუგაანელი ყარაული“.

თავმჯდომარემ გამომძიებელთან ნაჩვენები წაიკითხა და სთქვა: „შენ სთქვი: ისინი მილიციონერები იყვნენ—ასე გაქვს წინად ნაჩვენები: გადმოვიდნენ ტიბაანში წითელ ბაირაღებით და ხელზედ წითელი ლენტებით და გვითხრეს: ასის თავები და ათის თავები რად გადააყენეთ, რატომ ახალ წესწყობილებაზე არ მიდიხართ, რად გინდათ ძველი მთავრობა“-ო.

მოწმე: „არა, ბატონო! ჯუგაანელებს მაგრე არ უთქვამთ!“...

თავმჯდომარე: „მაშ გამომძიებელთან ასე რად გაქვს ნაჩვენები?“

მოწმე: „ძალას მატანდნენ, მაშინებდნენ—ციხეში ჩაგსვამთო და იმიტომ გვეჩვენება, ესეც რომ არ იყოს, ტიბანელებმა მოგვილაპარაკეთ—ასე გთქვათო, რადგან მაშინ ძალიან გულ-ნატკენები ვიყავით და ეხლა კი ფიცის წინაშე ტყუილს ვერ მოგახსენებთ; ისინი ყარაულები იყვნენ და არა სხვა ვინმე“...

სხვა მოწმეებიც ასეთს ჩვენებას აძლევდნენ, გარდა თომა სომხიშვილისა, რომელმაც სულ წინააღმდეგი უჩვენა. გამოკითხვა დასრულდა. პროკურორმა დამნაშავედ იცნო ფორე, შაქრო და ლიმონა ზედგენიშვილები, დანარჩენნი ბრალდებისა გან გაანთავისუფლა.

სადამოს შვიდის ნახევარზედ სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა: გაამართლა ლიმონა, შაქრო ზედგენიშვილები, შაქრო ქურციკიძე, ბასა კიკილაშვილი და გიორგი მარტყოფიშვილი. მხოლოდ ფორე ზედგენიშვილს სამ წელიწად ნახევარი გამასწორებელ რაზმში ყოფნა მიუსაჯა.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მაისი

**აშხაბადი.** მოჰკლეს შუა აზიის რკინის გზის უფროსი ულიანინი. მკვლელი მიიმალა. მას სალდათის ტანისამოსი ეცვა.

**ლოძი.** ზაგაკოვის ქუჩის კუთხეში ნახეს გვამი მოკლულ მუშისა, რომელსაც გულზედ ქაღალდის ნაჭერი ეკრა ასეთის წარწერით: «მოკლულია პოლონეთის სოციალისტების რევოლიუციონურ ფრაქციის მიერ ამხანაგების ღალატისათვის“.

**იუზოვკა.** ინჟენერ შაგირანის მკვლელობა მუშებმა გაჰკიცხეს.

**პარიჟი.** მეღვინეობის კრიზისის გამო სამხრეთ საფრანგეთის ქალაქების თვითმმართველობათა საბჭოები სამსახურიდან გადადგნენ. გადასახადის გადახდაზე ერთ ხმად უარი სთქვეს. მონპელიეში მანიფესტანტის დაპატიმრებამ დიდი არეულობა გამოიწვია.

**პარიჟი.** გაზეთების ცნობებით, მონპელიეს ორ პოლკში ჯარმა უწესოება მოახდინა.

**ბორდო.** მეღვინეობის საერთაშორისო კონგრესმა მიიღო მრავალი რეზოლიუცია. კონგრესმა საჭიროდ დაინახა დაკლებულ იქმნას ღვინის შესატანი ბაჟი ბელგიასა, ჰოლლანდიასა, რუსეთსა და შეერთებულ შტატებში.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატამი განაახლეს იმ კანონ-პროექტის განხილვა, რომელსაც აზრად მეღვინეობის კრიზისის მოსპობა აქვს. ჟორესმა თავისი კანონპროექტი შეიტანა ვენახების ნაციონალიზაციის შესახებ. 505 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 65 ხმისა, ჟორესის კანონპროექტი უარ-ჰყვეს.

**ნეაპოლი.** კურსო-გარიბალდიში ტრამვაის ვაგონმა გასჭყლიტა ერთი ქალი ბავშვიანად. ბრბომ ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში ვაგონებს აკლება დაუწყო და ორი ვაგონი გადაბუგეს კიდეც. პოლიციამ და ჯარმა ბრბო გაფანტა.

**ნიუ-იორკი.** „ივნინგ-პოსტი“-ს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონიის ელჩი აოკი თანახმაა, დაზარალებულმა იაპონელებმა სასამართლოს მიმართონ და ზარალი კანონიერის გზით აინაზღაურონო.

**პეტერბურგი.** 30 მაისს დილით ლომბარდის მეთერთმეტე განყოფილებას 7 შეიარაღებული კაცი დაეცა. მოიტაცეს 1000 მანეთი, გაიქცნენ და თან სროლა ასტეხეს. მოჰკლეს უბნის ზედამხედველი და გარეშე კაცი, დასჭრეს პოლიციელი, ორი მეარტელე, მეეზოვე და შვეიცარი. უცნობებიდან ორი დაიჭირეს, ორი დასჭრეს, ორმა თავი მოიკლა, ხოლო ერთი მიიმალა.

**ირკუტსკი.** ალგაჩინსკის საპა[illegible]

უფროსს ბოროდულინს ექვსჯერ ესროლეს, მაგრამ ტყვია აავდინეს. ნერჩინსკის კატორგის უფროსი მეტუსი ქალმა მოჰკლა, რომელმაც განაცხადა—მღვდლის იუშკოვის ქალი ვარო.

**კუნგური.** სატეხნიკო სასწავლებლის მახლობლად ცარიელ სახ ში აღმოაჩინეს ყუმბარების საწყობი, პ ტრონები, რევოლვერები და პროკლამაციები, იპოვნეს ორი გირვანქა დინამიტი და ერთი ფუთი შრიფტი, ერთი მოსწავლე დააპატიმრეს.

**პსკოვი.** სოფ. ზაგრიაზიეში მმა ცავების დაჭერის დროს მოჰკლეს ორი ურიადნიკი.

**ხარბინი.** კავკასიელთა და ხუნხუზთა შეერთებულმა ბრბომ ჯერ საპატიმრო სახლს და მერე სად. ბოგრანიჩნის ძველ შენობას სროლა აუტეხა. პოლიცმეისტრის ივანოვის სახლშიაც შევარდნ ნ. მოჰკლეს ივანოვი და საზღვრის ორი მცველი. დასჭრეს ს ზღვრის ერთი მცველი და ერთი პატიმარი. ბრბო ნახევარ საათს ისროდ .

**რიგა.** ზელზაუსის სამიკიტნოს მახლობლა , სადაც ურიადნიკი მოჰკლეს, დასჭრეს ერთი სტრაჟნიკი და ორი გლეხი, რომელნიც ურიადნიკთ ნ იყვნენ.

**ეკატერინოსლავი.** მაიკოპში მძიმედ დასჭრეს ქალაქის გამგეობის წევრი გლოტოვი.

**ჩერნიგოვი.** სოფ. რეიმალოვკაში თავისს სახლში დასჭრეს კაზაკი იდრენკო.

**ლოძი.** მოჰკლეს ერთი მუშა. პოზნანსკის ფაბრიკის საავადმყოფოს ახლოს მოჰკლეს უბნის ზედამხედველი სლივიცკი და პოლიციელი შარკოვსკი.

**დმიტროვსკი.** შამშევა გრემიაჩუმის მამულში გლეხებმა დაქირავებულ მუშებს ძალით აავეთინეს მუშაობ , კაზაკებს თავს დაესხნენ და ურიადნიკს სცემეს. ცრიოლიოდან დრაგუნების ერთი ესკადრონი დაიბარეს.

**ლოძი.** მუშათა სახალხო კავშირმა მოწოდება გამოსცა, რომელშიაც ენერგიულ პროტესტს აცხადებს ტერრორის წინააღმდეგ, მოუწოდებს მუშებს იბრძოლონ ფაბრიკაში შინაურ ანარქიის წინააღმდეგ, ყური არ ათხოვონ სოციალისტურ შთაგონებას, არ მოახდინონ კერძო გაფიცვა და შესაფერის პატივით მოეპყრონ საფაბრიკო ადმინისტრაციის.

**ვარშავა.** მედვენიცკის კათოლიკეთა ეკკლესიიდან მოპარული ხატი იპოვნეს. წაუღიათ ხატის მოკაზმულობა, რომელიც 100,000 მანეთი ღირდა.

**თეირანი.** შაბათს მომხდარ ბრძოლაში მთავრობის ჯარს არტილერია არა ჰყავდა. მეამბოხეთ კი ჰყავდათ. პრინცი სოლორუდ დოულე მენ ელში გაიქცა სიმამრთან. მთავრობის ჯარის უფროსი დაუდხაი პრინცს ფეხ და ფეხ მისდევს.

**ბახმუტი.** სოფ. ვასილიევში გლეხის გირენკოს სახლს ყუმბარა ესროლეს. მძიმედ დ იჭრა გლეხის ქალი.

**სარატოვი.** სერდობოლის მაზრის სოფ. გრანოკის მახლობლად ნახეს გვამები შემცლე-ქალის ხომიაკოვის მოურა ის სოკოლოვისა, მეეტლისა და ცხენისა.

**ბუქარესტი.** მესამე საარჩევნო კურიაში აირჩიეს 38 ლიბერალი, ერთი ხელ ახლა უნდა აირჩიონ.

**თეირანი.** პრინც სალარუდ დოულე მთავრობის ჯართან მრავალ კერძო შეტაკების შემდეგ მთებში გაიქცა. დავუდხი მთავრობის ჯარს შეუერთდა.

**შადრინსკი.** ქუჩაში მოჰკლეს სამხედრო უფროსი პოლკოვნიკი კუპეევი. მკვლელი, ადგილობრივი მუშა შეიპყრეს.

**ლოძი.** ანნის ქუჩაზე მოჰკლეს ერთი მუშა ქალი, ლიპოვოი ქუჩის კუთხეში სასიკვდილოდ დასჭრეს მეორე მუშა.

**ეკატერინოდარი.** სამხედრო სასამართლომ 1905 წელს ანაპის რეზერვნი ბატალიონში მომხდარ არეულობის შესახებ ერთ ჯარის კაცს 12 წლის კატორგა მიუსაჯა, ოთხს სხვა და სხვა ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმი, ორი გაამართლა. მათი დანაშაული ის იყო' რომ აფიცრებს ურჩობა გაუწიეს, დროშა თოფები და პატრონები დაიტაცეს და დაპატიმრებული ჯარის კაცები განათავისუფლეს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში მოხდა ირლანდიის ნაციონალური პარტიის კრება იმის გამოსაკვლევად, თუ რა პოლიტიკას დაადგნენ შემდეგში. კამათი 4 საათს გაგრძელდა. შეადგინეს მოწოდება, რომელშიც ნათქვამია, რომ მთავრობის კანონ-პროექტის უარ ყოფა დუბლინის ნაციონალურ კონვენტის მიერ ცხადად ამტკიცებს, რომ ირლანდიის ხალხს გადაწყვეტილი აქვს, უარ ჰყოს მთავრობის მიერ ირლანდიის ნაციონალურ ძალის დასაქუცმაცებელი ყოველ გვარი ზომა და სრულის ჰომრულის გარდა არაფერს არ დასჯერდეს. სრული ჰომრული კი მოიპოვება შეუდრეკელის ბრძოლით და ენერგიულის აგიტაციით ირლანდიაში და დისციპლინალურის მოქმედებით დეპუტატთა პალატაში მთავრობა, როგორც უნდა იყოს იგი, ბოლოს იძულებული იქნება შეიტანოს კანონ-პ ოქტი ირლანდიაში რიგიან რეფორმის შემოღების შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

**ს ა დ გ უ რ ც ე მ შ ი**

## ქირავდება ბარაკები.

ჰაერით, წყლით, ფიჭვის ტყით და მდებარეობით შეუდარებელია მთელ ბორჯომის ხეობაში; იშოვება სანოვაგეც. მსურველთ ვთხოვ, მიმართოთ წერილობით თუ პირადათ სადგურ ცემში სიმონ ივანეს ძე **ტაბატაძეს**.

პატივის ცემით სოფელ ცემში მცხოვრები გლეხი **სიმონ ივანეს ძე ტაბატაძე.** (2—ფ.—1)

## სასადილო

## „არკადია“

ვორონცოვის მეგლთან, რაზიეზჟაია ქუჩ., № 9, სახლი მმ. მილოვებისა.

**სადილი ორი კერძისაგან 25 კაპ.**

შეიძლება სადილის სახლში წაღება. ვიღებთ თვიურად. არის ლუდი საუკეთესო თვისებისა, ჩაი, რძე, მაწონი და სხვა. (3—112—2)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ღ ო ქ ტ ო რ ნ ი:**

**ნ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აჯილისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გძელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** —2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ნ. ა. ნავასარდიანი** (150—ხალ.—85)

# იყიდება

ვერაზე, საბურთალო ღელისში, გ. დიასამიძის ადგილების მახლობლად საუკეთესო ვაკე **სავაჭრო ადგილები** ალექსანდრე და ნიკოლოოზ გაბაშვილების მამულში თითო სამოსახლო ზომით 500—700 ოთხკუთხ საჟენამდე, ფასად წმინდა ოთხკუთხედი საჟენი 15—20 კაპეიკამდე. არც ქუჩების ფასი, არც კონტორის, არც სხვა წვრილი ხარჯი, არც გაზომვის ხარჯი არ გადახდება მყიდველებს გარეშე „ზაპროდაჟნი ზაპისების“ და „კუფჩების“ გაკეთების ხარჯებისა. „კუფჩების“ გაკეთება შეიძლება სამოსახლო ადგილის სრულ ღირებულობის გადახდისათანავე. ვისაც არ შეუძლიან ერთად ფულის შემოტანა, ის შემოიტანს სამ ნაწილად მთელ სამოსახლოს ღირებულობას ერთის წლის განმავლობაში. ესაა უმთავრესი ჩვენი პირობები. ვისაც ნებავს, შეუძლიან მიმართოს ალექსანდრე გაბაევს და ბაგრატ თოროზოვს ვერის დაღმართზე, სადაც ქალაქის სასწორი დგას. ქალაქის ხორცის მაღაზიაში, კანტორა. (3—114—1)

1—2 მან. აძლევს მსურველს დღეში.



## საჭიროა

**თანამშრომელნი ორივე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: **Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5.** (100—71—21)

ქ. ქუთაისში

**ექიმი დ. ვ. ფანცხავა**

იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ—25)


# ბალანსი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა.

**1907 წლის 1 ლ იანვრისთვის**

**ა ქ ტ ი ვ ი**

| ანგარიშის მუხლები. | | | მანეთი. | კაპ. | მანეთი. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნაღდი კასსაში ფულად. . . | | 92,343 | 20 | | |
| | „ გირავნობის ფურცლები. | | 377,400 | — | | |
| 2 | მიმდინარე ანგარიშებზე სხვა და | | | | 469,743 | 20 |
| | სხვა ბანკებში. . . . . | | 589,388 | 93 | | |
| 3 | საწევრო შესატანი ტფ. სამეურნეო ბანკში. . . . | | 250 | — | | |
| 4 | კორრესპონდენტები: ნაღდი. . | | 36,987 | 19 | 626, 26 | 12 |
| 5 | გირავნობის ფურცლები. | | — | — | 219,600 | — |
| 6 | %-ანი ქაღალდები, რომელნიც ბანკს ეკუთვნიან, სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველყოფილნი: . . ა) სათადარიგო თანხისა, ნომინ. ღირებ. . . | 924,950 | 635,182 | 38 | | |
| | %-ანი ქაღალდები, რომელნიც უზრუნველყოფილნი არ არიან, სახარჯო თანხებისა. „ | „ 41,700 | 46,950 | — | 682,132 | 38 |
| 7 | სარგებელი %-ანის ქაღალდებისა. . . . . . | | — | — | 5,634 | 34 |
| | | 966,650 | | | | |
| 8 | გრძელ-ვადიანი სესხი: . . . ა) მიწის გირაოს ქვეშ გაცემული. . . . . | 5,171,082—42 | | | | |
| | ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირაოთი . . . | 32.431,084—86 | 37.602,167 | 28 | | |
| 9 | ვადაზე სესხის დაფარვა. . . | 279.081—82 | | | | |
| 10 | ვადამდე სესხის დაფარვა ნაღდ ფულით . . . . . | 6,950-90 | 286.032 | 72 | 37.888,200 | — |
| | მსესხებელნი: . . . . | | | | | |
| 11 | ა) სხვა ვადაზე გადადებული გადასახადები . | | 1,950 | 83 | | |
| 13 | ბ) ვადაზე გადაცილებული გადას. (დებიტორები) | | 483,742 | 58 | 485,693 | 14 |
| | მე-12 §-ის შეღავათით მოსარგებლენი: . . . . | | | | | |
| 14 | ა) გრძელ-ვადიანის სესხის ამღებთაგან . . . | | 1.081,184 | 73 | | |
| | ბ) მოკლე ვადიანის სესხის ამღებთაგან . . . | | 9,756 | 55 | 1.090.941 | 28 |
| 15 | პენი, გამოანგარიშებული გადასახადებზე . . . . | | — | — | 78,877 | 66 |
| 16 | მოკლე ვადიანი სესხი . . . | | — | — | 435.129 | — |
| 17 | დასაბრუნებელი ხარჯები . | | — | — | 49,085 | 40 |
| 19 | 5%-ანი სახ. გადასახადი კუპონებზე. . . . . | | — | — | 1,913 | 43 |
| 20 | ბანკის მოსაწყობი და სხვა და სხვა საჭირო საგნების შესაძენი ხარჯი. . . . | | — | — | 6,795 | 96 |
| 22 | ავანსი, მიღებული საკომისიოდ გადაცემულ გირავნ. ფურცლებზე. . . . . | | — | — | 174,528 | 50 |
| 23 | ბაქოს სააგენტოს ნაღდი . . | | — | — | 309.629 | 23 |
| 25 | ბანკის ხარჯი, რომელიც უნდა დაბრუნდეს იმ ჯილდოდან, რომელიც გამგეობის წევრთ ეძლევათ. . . . . | | — | — | 9,000 | — |
| 27 | გასაბათილებელ %-ან ქაღალდების ღირებულ ზედ-მეტი ბანკზე დ რჩენილ მამულების თავენი ვალი: . . . . | | — | — | 148,793 | 02 |
| | ა) ქალაქის მამულებისა . | 1.010,020—06 | | | | |
| | ბ) სოფლის „ . . . | 283,052—82 | | | | |
| | გ) მოკლე ვადიანისა . . | 3,710 — | | | | |
| | | 1.296,782—88 | | | | |
| | **ბ ა ლ ა ნ ს ი . .** | | — | — | 42.682,322 | 93 |

**პ ა ს ს ი ვ ი**

| ანგარიშის მუხლები. | | მანეთი. | კაპ. | მანეთი. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი თანხა { გრძელ-ვადიან სესხისთვის. . | 191,998 | 13 | | |
| | მოკლე ვადიან სესხისთვის. . | 418,161 | 06 | 610,159 | 19 |
| 2 | საზოგადო თანხა. { სესხების, რომელიც გაცემულია 24 მაისის 1874 წ. წესდ. თან. | 32,028 | 13 | | |
| | სესხების, რომელიც გაცემულია 17 თებერვლის 1881 წ. წესდებ. თანახ. . . | 733,183 | 10 | 765,·11 | 23 |
| 6 | 4½%-ნი გამოცემული გირავნ. ფურცლები . . | 3.713,200 | — | | |
| 7 | 5%-ანი „ „ „ . . | 33.791,000 | | 37.504,200 | — |
| 8 | გირავნობის ფურცლები, გამოსყიდული მოგების თანხიდან წესდების მე-101 მუხლის თანახმად ვადამდე. . . . . . . . . | — | — | 384,000 | — |
| 9 | ექსპედიციის მიერ გამოცემული გირავნ. ფურცლ. | — | — | 95,400 | — |
| | სესხის დაფარვა ვადამდე: | | | | |
| 10 | ა) გირავნ. ფურცლებით. . . . . . . | 287,300 | — | | |
| 11 | ბ) ნაღდ ფულით . . . . . . . . | 6,950 | 90 | 294,250 | 90 |
| | ტირაჟში გასული გირავნობის ფურცლები; | | | | |
| 12 | 4½%-ანი . . . . . . . . . . | 600 | — | | |
| 13 | 5%-ანი. . . . . . . . . . . | 170,800 | — | | |
| 14 | 6%-ანი გირავნ. ფურცლები, გამოსული ტირაჟში ჩვეულ. და გაძლიერებულის რიგით . . | 500 | — | 171,900 | — |
| | გირავნ. ფურცლების გადასახდელი კუპონები: | | | | |
| 15 | 6%-ანი. . . . . . , . . . . | 21 | — | | |
| 16 | 5%-ანი. . . . . . . . . . . | 918,680 | — | | |
| 17 | 4½%-ანი . . . . . . . . . . | 84,143 | 25 | 1.002,844 | 25 |
| | სარგებლის ფონდი: | | | | |
| 18 | 5%-ანი. . . . . . . . . . . | 846,489 | 51 | | |
| 19 | 4½%-ანი . . . . . . . . . . | 83,494 | 43 | 929,983 | 94 |
| | გამოსასყ. ფონდი; | | | | |
| 20 | 5%-ანი ვად. . . . . . . . . | 6,877 | 35 | | |
| 21 | 5% ანი უვადო. . . . . . . . | 246,083 | 23 | | |
| 22 | 4½%-ანი უვადო. . . . . . . . | 26,121 | 24 | 279,081 | 82 |
| 23 | წესდების მე-101 მუხლის თანახმად გამოსასყიდ. გირავნ. ფურცლ. ფონდი. . . . . . | — | — | 72 | — |
| | გარდამავალი ჯამი; | | | | |
| 24 | ა) გირავნ. ფურცლებით . . . . . | 55,606 | 03 | | |
| 25 | ბ) ნაღდის ფულით . . . . . . | 21,900 | — | | |
| 26 | ვადამდე გადასახდელი . . . . . . | 166 | 29 | 77,672 | 32 |
| 28 | საკომის. გირავნ. ფურცლ. . . . . . | — | — | 193,400 | — |
| 32 | სპეციალური მიმდინ. ანგარიში . . . . | — | — | 28,193 | 23 |
| 33 | სამრეწველო გადასახადი . . . . . . | — | — | 10,813 | 03 |
| 36 | ბანკში მოსამსახ. შემნახ.-დამხმ. კასის. ფონდი . | — | — | 19,813 | 98 |
| 37 | ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურებისათვის დასაბრუნებელი თანხა . . . . . . . . | — | — | 7,533 | 12 |
| | 1906 წლის წმინდა მოგება . . . . . . | — | — | 308,793 | 92 |
| | **ბ ა ლ ა ნ ს ი . .** | — | — | 42.682,322 | 93 |

გამგეობის თავმჯდომარის მ გიერი **ა. ნ. ფურცელაძე.**

გამგეობის წევრნი: { **უგ. თავ. გ. ა. გრუზინსკი.** **თავ. ა. ფ. ჩოლოყაშვილი.**

გამგ. წევრ. კანდიდატი **თავ. მ. ნ. ვიჩირიშვილი.**

ბუღალტერი **რ. ვ. გვამიჩავა.**

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.